სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N179

ქ. ბათუმი 01 ივნისი 2017 წ.

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი") წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის სულხან ღლონტის სახით და მეორე მხრივ ფ.პ. ირაკლი სირაბიძე (შემდგომში „შემსრულებელი"), („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 92300000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შემსრულებელი იღებს ვალდებულებას აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტუმრებისათვის - ჟურნალისტებისათვის ლატვიიდან და ლიტვიდან (სულ 11 პიროვნება), 2017 წლის 04 ივნისს უზრუნველყოს ფოლკლორული ღონისძიების (ქართული ხალხური სიმღერა 4 კაციანი ანსამბლით) ორგანიზება სოფ. ვაიოში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს, რომელშიც შედის საშემოსავლო გადასახადი 20% - 100 (ასი) ლარი. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1.მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხირდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2.დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია - ნონა მარკარიანი, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

6. მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	ირაკლი სირაბიძე
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86	მისამართი: *ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი კვაშტა*
	საიდენტიფიკაციო კოდი: *61008002145*
	ს.ს. „საქართველოს ბანკი" *ბანკის კოდი – BAGAGE22* ანგარიში N *GE22BG0000000857222200*
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	
დეპარტამენტის თავმჯდომარე	ფიზიკური პირი
_____/სულხან ღლონტი/ ბ.ა.	_____/ირაკლი სირაბიძე/ ბ.ა.